ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N70

დ. ასპინძა მაისი 2019 წ.

ერთის მხრივ თვითმმართველი თემი -ასპინძის მუნიციპალიტეტი წარმოდგენელი მისი მერის, როსტომ მაგრაქველიძის სახით (შემდეგში შემსყიდველი): დაბა ასპინძა მეფე თამარის ქ #3. მეორეს მხრივ ი/მ ,,ვარტაზარ დანელიან"-ი წარმოდგენილი ვარტაზარ დანელიანის სახით (შემდგომში მიმწოდებელი) ქ. ახალციხე, მეგობრობის ქ. N11. ,,სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3-ე მუხლის ს[1] ქვეპუნქტის თანახმად დებენ ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

1.1. CPV03121210. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისთვის ყვავილების შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება შეადგენს 140 (ასორმოცი) ლარს.

3. საქონლის შესრულების ეტაპები და ვადები.

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ყვავილები მიაწოდოს (დ. ასპინძაში მეფე თამარის ქ #3) მიმდინარე წლის არაუგვიანეს 25 მაისისა.

3.2 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 25 ივნისამდე.

4. მიღება-ჩაბარების წესი.

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტზე პასუხისმგებელია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდოდ.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მოახდინოს ანგარიშწორება მიწოდებული საქონლის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საქონლის მიწოდების პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა შენიშვნა.

7 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

7.1. თუ მიმწოდებელი მე-3.1. მუხლის მოთხოვნებს არღვევს თავისი მიზეზით, ვალდებულია შემსყიდველს აცნობოს დაუყოვნებლივ და გონივრულ ვადაში.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02% -ის ოდენობით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
ბ) მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
გ) იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5% - ს;
დ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ვ) მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
8.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:
ა)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;
ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
8.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9 ფორს მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოების პროცესში.
9.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10 დავების გადაწყვეტის წესი

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულებების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია.
11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესახებ არაუგვიანეს 3 დღისა.

ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მიღებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი: თვითმართველი თემი-ასპინძის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტის მერი რ. მაგრაქველიძე

SELF GOVERNING UNIT OF ASPINDZA

Digitally signed by SELF GOVERNING UNIT OF ASPINDZA
Date: 2019.05.22 17:28:16 +04'00'

დ. ასპინძა მეფე თამარის ქ.№3

საბანკო რეკვიზიტები:

საინდიფიკაციო კოდი 223105155

ხელმოწერა .....

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი TRESGE22, 220101107

ბ.ა.

ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900

მიმწოდებელი: ი/მ ,,ვარტაზარ დანელიან“

ქ. ახალციხე, მეგობრობის ქ. N11

საბანკო რეკვიზიტები:

საინდიფიკაციო კოდი 47001014930

ხელმოწერა .....

ბანკი- ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“

კოდი LBRTGE22

ანგარიშსწორების ანგარიში

ბ.ა.

GE41LB 0711122117834000

ტელ ნომერი: 599406508